სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N-4

ქ.ჩოხატაური *27 აპრილი 2015 წელი*

<u>თავმჯდომარეობდა:</u> დავით გუდავაძე

ესწრებოდნენ: გოჩა სეხნიაშვილი, ლაშა თოლორდავა, ოთარ სოროზანაშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, გოდერძი გოგიშვილი, დავით ვაჩეიშვილი, დიმიტრი კორიფაძე, თემურ ხუხუნაიშვილი,მანანა მინდაძე,კლოდი მდინარაძე.

მოწვეული გამგეობიდან:

ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი-გია გიორგაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

2. 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

4. სტიქიური მოვლენების მიმდინარეობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ.სეხნიაშვილმა, ლ.თოლორდავამ, კ.კალანდაძემ, რომლებიც დაეთანხმნენ წარმოდგენილ პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

2. 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

4. სტიქიური მოვლენების მიმდინარეობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

I საკითხი: ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

<u>**მოისმინეს :**</u>

1. ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> *მ.მინდაძემ, დ.კორიფაზემ, დ.გუდავაძემ.*

მანანა მინდაძეს ბაზრის ტერიტორიაზე გზის პირას მაღაზიის აშენება არაკანონიერად მიაჩნია, რადგან შემდეგში მაღაზიების მშენებლობის დროს არ იქნება სტანდარტული ნორმები დაცული.

დიმა კორიფაძემ აღნიშნა, რომ ბაზრის გაყიდვა კერძო პირისთვის უფრო სწორი იქნება ვიდრე მუნიციპალიტეტის მფლობელობაში დარჩეს.

კობა კალანდაძემ გამოთქვა მოსაზრება, თუ ეს თანხა არის დელეგირებული ეკონომიკის სამინისტროს მიერ ამ შემთხვევაში ბაზრის რეკონსტრუქცია მიაჩნია სწორად.

დავით გუდავაძე არ ეთანხმება მოსაზრებას , ბაზრის გაყიდვა კერძე პირისთვის ან ბიზნესმენისთვის, რადგან მოსახლეობას გაეზრდება გადასახადი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ. განხილული იქნას უახლოეს საკრებულოს სხდომაზე თანხმობის მისაცემად.

II საკითხი: 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

2. 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გ.თოდრიამ, გ.გოგიშვილმა, მ.მინდაძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება</u>:

2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ, განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით განხილულ იქნას ბიუროს სხდომაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ.გუდავაძემ, გ. სეხნიაშვილმა, თ. ხუხუნაიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ცნობად იქნას მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

IV საკითხი: სტიქიური მოვლენების მიმდინარეობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

4. სტიქიური მოვლენების მიმდინარეობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა.შარაშიძემ, გ.თოდრიამ, ო.სოროზანაშვილმა, გ. გიორგაძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ცნობად იქნას მიღებული სტიქიური მოვლენების მიმდინარეობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.(დანართი თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: დავით გუდავაძე

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია მხარს უჭერს ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის საკითხს.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებას.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისამ მხარს უჭერს 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ განკარგულების პროექტის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სტიქიური მოვლენების მიმდინარეობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 2-3 ნოემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმისა და ქარის) შედეგად ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანდა შიდა სასოფლო გზები, ხიდეები, საცხოცრებელი სახლები და სხვადასხვა ინფრასქტუქტურული ობიექტები. სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის მიერ დადგენილი იქნა ზარალის სავარაუდო ღირებულება, რომელმაც შეადგინა 480 420 ლარი. აღნიშნული ინფორმაცია, კერძოდ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის აქტი, სადეფექტო აქტები, სამუშაოს ღირებულებების გაანგარიშება და არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა დეკემბრის თვეში გადაგზავნილი იქნა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში რეაგირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2551 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პირველი ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით გამოეყო 10000 ლარი. აღნიშნული მომსახურეობის შესყიდვა განისაზღვრა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. გაფორმდა ხელშეკრულებები შესაბამის საპროექტო ორგანიზაციებთან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადების მიზნით, სამუშაოს შესრულების ვადა ხელშეკრულებით განისაზღვრა 2015 წლის პირველ მარტამდე. მომზადებული ხარჯთაღრიცხვების ერთი ეგზემპლიარი გადაიგზავნა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შესათანხმებლად. ამჟამად მიმდინარეობს პროცედურები სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.